# ახალგაზრდების ენერგია — გარდაქმნასა და დაჩქარებას

## გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობა

**მომავალს** ბევრად განსაზღვრავს ის, თუ როგორი ახალგაზრდობა გვეზრდება დღეს. უძრაობისადმი შეურიგებელი, გარდაქმნით დაინტერესებული, იგი უფრო აქტიურად, უფრო მიზანმიმართულად უნდა მოქმედებდეს. სწორედ ამას უსახავენ მიზნად კომკავშირს პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ახალგაზრდობა ნამდვილად გახდეს გარდაქმნის ენერგიული მონაწილე.

სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილავენ საარსებო ამოცანებს საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატები, რომელმაც 6 მარტს დაიწყო მუშაობა თბილისში. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის კომკავშირის 852-ათასიანი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლები.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ზ. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. ფედოსოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. შვეცოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. ლ. აბრამოვი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიის, შრომის, კომკავშირის ვეტერანები. აქვე არიან საქართველოს კომკავშირის ყრილობის სტუმრები — სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ბ. ვ. ვოლინოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სლოვენიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის სოციალისტური გერმანელი მუშა-ახალგაზრდობის კავშირის დელეგაციები.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

მტკიცდება ყრილობის მუშაობის რეგლამენტი და დღის წესრიგი.

მოხსენება „საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის კომკავშირის ამოცანები" გააკეთა რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ვ. მარგველიძემ.

საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ თ. გ. გოდერძიშვილმა.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. ჭანტურია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე თ. უ. მარუაშვილი, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჯ. შამბა, მესტიის რაიონის ლენჯერის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელთა ბრიგადის ბრიგადირი გ. ბ. ფილფანი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ბ. ვ. ვოლინოვი, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ხ. ბერიძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი

იხ. გვ. 2 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 მარტი, შაბათი, 1987 წ. № 46 (9457) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**გუშინ** თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კოლექტივი და ხელმძღვანელობა შეხვდა ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს. შეკრებილთა წინაშე ინფორმაციით გამოვიდა დინამოელთა უფროსი მწვრთნელი კახი ასათიანი. შემდეგ მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა, გუნდის ექიმმა და სხვა ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს და ფეხბურთის გულშემატკივრებს უპასუხეს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

კოლექტივს ახალი საფეხბურთო სეზონის წინ გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ.

• • •



### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

**გუშინ** თბილისში, ვაკის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები. საასპარეზოდ შეიკრიბნენ სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (ცსკ ვმფ, მოსკოვი), კასპიის წითელდროშოვანი, ფლოტილიის (კკფ, ბაქო), ლენინგრადის „ბალტიკის", მოსკოვის, კიევისა და თბილისის „დინამოს" გუნდები.

გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: კკფ — ცსკ ვმფ — 8:12, „დინამო" (კიევი) — „ბალტიკა" — 10:10, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) — 7:4.

• • •

**გუშინ**, თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საქალაქო სპარტაკიადა.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ორჯერ მოგებული მატჩი

**თბილისი. სპორტის სასახლე. 4 მარტი.**

**„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 98:88 (57:37).**

**„დინამო": კაპუსტინი (20), ტიუბინი (19), ბოროდაჩოვი (16), ოპოშნიანი (11), ფერიაშვილი (11), გიორგობიანი (10), ტალაბაძე (6), კორძაძე.**

**ვეფ: დუდოროვი (22), ეკობსონსი (17), მუიჟნიეკსი (16), ლიეპა (12), მიგლინიეკსი (8), ბერზინში (4), კალნინში (2), ჩირკოვი (2), კულიკოვსკისი.**

**მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ს. ფომინი (სმოლენსკი).**

ხელს შუა გაგიქრეს. ასე მოხდა თბილისის „დინამოსა" და რიგის ვეფ-ის შეხვედრაში.

პირველ ნახევარში თბილისელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ შეხვედრის საბოლოო შედეგი ეჭვს არც იწვევდა. თბილისელებს ყველაფერი ადვილად, ძალდაუტანებლად გამოსდიოდათ: სწრაფი შეტევებიც, ზუსტი სროლებიც და, რაც მთავარია, საზრიანი და საიმედო თამაში დაცვაში. სწორედ ამიტომ, პირველ ტაიმში თბილისელთაგან ვერც ერთ კალათბურთელს ვერ გამოყოფდით. ოპოშნიანმა, მაგალითად, თავის კოლექტივს შესვენებამდე 11 ქულა შესძინა, ტიუბინმა და ფერიაშვილმა — 10-10 ქულა, კაპუსტინმა და გიორგობიანმა — 9-9. ერთი რამ უდავო და აშკარა იყო:



**თამამად** შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა თბილისის „დინამომ" ორჯერ მოიგო. ე. ი. მას ფაქტიურად ორი მიკრომატჩის ჩატარება მოუხდა. კალათბურთში, ისე როგორც სპორტის არც ერთ სხვა სახეობაში, უპირატესობის შენარჩუნებას განსაკუთრებული უნარი სჭირდება, რადგან შეიძლება 20-ქულიანი უპირატესობაც თვალსა და მასპინძლებმა „მოიგეს" თამაში ფარქვეშ, საიმედოდ დაიცვეს საკუთარი კალათი საფრთხისაგან და შეტევებმაც თანდათან გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. ასე გაგრძელდა შესვენებამდე, მერე კი... იოლ გამარჯვებაში დაჯერებულმა დინამოელე-

იხ. გვ. 4 გვ.

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის VII ყრილობა

**მიმდინარე** წლის 5 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა VII ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. ნ. მოსეევი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი ა. გ. მენდელეევი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს წევრები.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობისა და სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის ჟურნალისტთა ამოცანების შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გ. ვ. ბედინეიშვილმა.

კამათში ჩაწერილი 42 დელეგატიდან გამოვიდა 19.

ყრილობაზე გამოვიდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. ნ. მოსეევი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა.

აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის დელეგატები.

• • •

**გაიმართა** რესპუბლიკის ჟურნალისტთა VII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი და სამდივნო.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. გ. ჩერქეზიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი.



### ბოლო რეპეტიცია

**გუშინწინ** თბილისის დინამოელებმა ჩაატარეს საბჭოთა კავშირის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატისათვის მზადების პროგრამით გათვალისწინებული ბოლო საკონტროლო შეხვედრა. მათ საკუთარ მინდორზე მიიღეს ოდესის „ჩერნომორეცი". ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაიხსნა: ბურთი სტუმართა კარში ოთარ კორღალიძემ გაიტანა. მეორე ტაიმში თბილისელებმა ვერ მოახერხეს უპირატესობის განმტკიცება. მეტიც, 57-ე წუთზე ოდესელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მასპინძელთა მცველებმა უხეშად წააქციეს მეტოქე გუნდის თავდამსხმელი და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტი ზუსტად გამოიყენა პლოსკინამ. საბოლოოდ ფრე — 1:1.

გაგაცნობთ თბილისის „დინამოს" შემადგენლობას: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცაავა, კაკილაშვილი (ქეცბაია, 83), სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე (მიქაშავიძე, 83), ჩელებაძე (შენგელია, 46), რევიშვილი.

# ახალგაზრდების ენერგია — გარდაქმნასა და დაჩქარებას

დასასრული

მდივანი დ. ს. კულუმბეგოვი, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. მ. ერქომაიშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ფშიპაშვილი.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც მისმა თავმჯდომარემ ლ. გ. ზოდელავამ გააკეთა.

განახლებულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მ. ნ. ადეიშვილი, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი, ქალაქ თბილისის 56-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ტ. ვ. შაპილოვა, საქართველოს ალკკ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ლ. გ. არჯევნიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი კ. ა. კოჩეტოვი, ახალციხის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ა. ბექაური, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ყვანია, მარნეულის რაიონის ალგეთის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფ. მ. დემურჩიევა, საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი მ. ო. ქანთარია, თბილისის „დინამოს" გუნდის კალათბურთელი გ. ა. დარსაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდა დრამატურგთა სექციის ხელმძღვანელი შ. ნ. შამანაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. შ. ვასაძე, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის მევენახე მ. ვ. მიხაშვილი, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. გ. ქრელაშვილი, სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქტიუმენმშენის" მუშა დ. გ. ბედოშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. კ. ინანიშვილი, საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ი. მელიქიანი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი პ. თ. ნაცვლიშვილი.

ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. შვეცოვა.

ყრილობის დელეგატებსა და მათი სახით საბჭოთა საქართველოს ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს გულთბილად მიესალმნენ სლოვენიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის რესპუბლიკური კონფერენციის მდივანი დანიელ ბოჟიჩი და საარის მხარის სოციალისტური გერმანელი მუშა ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე სიუზანა ბაუერმანი.

ახლანდელი ყრილობის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მის ყოველ დელეგატს მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა საკუთარი შენიშვნები, წინადადებანი და სურვილები კომკავშირული მუშაობის გარდაქმნის თაობაზე, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. დარბაზში სპეციალურად დაიდგა მიკროფონები. ეს ტრიბუნა კომკავშირული ფორუმის ბევრმა მონაწილემ გამოიყენა.

7 მარტს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).



იმ დღეს დილით, ბაკურიანისაკენ დაიძრნენ ახლომახლო სოფლების, ბორჯომის, წაღვერის მკვიდრნი და სტუმრები — რაიონის დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების დამსვენებლები. ზოგს თხილამურები გაედო მხარზე, ზოგს ციგა მოჰქონდა — ბაკურიანისკენ მიმავალ გზას დასდგომოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ტრადიციული მოთხილამურის დღე ამჯერადაც მასობრიობით გამოირჩეოდა — დაახლოებით 5 ათასმა კაცმა ისრიალა იმ დღეს ბაკურიანის თოვლზე.

შეჯიბრება გაიმართა სხვადასხვა დისტანციაზე რბოლაში, სამთო-სათხილამურო სპორტსა და ტრამპლინიდან ხტომაში.

40-მეტრიან ტრანპლინზე ახალი რეკორდი დაამყარა ბაკურიანელმა დინამოელმა, სპორტის ოსტატმა კახა წაქაძემ, რომელიც 55,5 მეტრზე გადახტა.

საინტერესოდ ჩატარდა საოჯახო სტარტები. რბოლაში ყველას ბაკურიანელი ნოდარ კოზანაშვილის ოჯახის წევრებმა აჯობეს.

მოთხილამურის დღემ ორგანიზებულად ჩაიარა.

„ლელოს" კორ.

ნუგზარ ქარელის ფოტო.

## თვის მონაგარი

# თებერვალში თხუთმეტი მედალი

თებერვალი, შეიძლება ითქვას, საკავშირო ჩემპიონატების თვე იყო. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის ხუთ სახეობაში: ლენინგრადში იასპარეზეს ძიუდოისტებმა, მოსკოვში — წყალში მხტომელებმა და ველოსიპედისტებმა, პერმში — მძლეოსნებმა, კაუნასში — მოკრივეებმა, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებებში 15 მედალი მოიპოვეს, გარდა ამისა, მათ საერთაშორისო ტურნირებსა და ახალგაზრდულ შეჯიბრებებშიც ისახელეს თავი.

მოგეხსენებათ, ძიუდო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სახეობაა საქართველოში: შეჯიბრება ისე არ ჩაივლის, რომ ჩვენმა ფალავნებმა გამარჯვებით არ გაგვახარონ. საკავშირო შეჯიბრებებზე მოგახსენებთ, თორემ საერთაშორისო სარბიელზე ბოლო დროს აშკარად დავთმეთ პოზიციები. ქვეყნის პირველობას ძიუდოში უნდა დაესახელებინა საკავშირო ნაკრების კანდიდატები, ის მოჭიდავეები, რომლებსაც წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოუწევთ გამოსვლა, ამიტომ, ტურნირში ქვეყნის ყველა უძლიერესი ფალავანი ჩაება. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 22 სპორტსმენი იყო, მათ შორის ბევრი გამოცდილი ძიუდოისტი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა რვავე წონით კატეგორიაში მედლები მოიპოვეს. ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი, გუნდურ პირველობაში მოპოვებული მეორე ადგილი — აი, ჩვენი ძიუდოისტების ნადავლი.

მძიმე წონაში გამარჯვება ძიუდოში ძალზე საპატიოა. ამდენად, სასიხარულოა, რომ ამ წონაში გამარჯვება არავის დაუთმო ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ, რომელმაც ფინალში მრისხანე მეტოქე, ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი დაამარცხა და პირველად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ქვემძიმე წონაში (95 კგ) სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი თბილისელი კობა კურტანიძე გამოდიოდა და, ბუნებრივია, მას ყველა უპირველეს ფავორიტად თვლიდა. ვარაუდი გამართლდა — კობა ლენინგრადიდან სამგზის ჩემპიონად დაგვიბრუნდა.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს 19 წლის მესტიელმა ვახტანგ ჯაფარიძემ და მისმა გამოცდილმა კოლეგამ, ასევე მესტიელმა ლერი ნაკანმა (78 კგ).

ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს საგარეჯოელმა ბადრი ბასილაშვილმა, თბილისელებმა ბათო ჯიქურმა (72 კგ), ანზორ თენაძემ (86 კგ) და ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ (აბსოლუტური).

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა ლუცკში გამართულ 1967-69 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა პროფკავშირების საკავშირო პირველობაშიც ისახელეს თავი. თბილისელმა გელა ტყემალაძემ (86 კგ) ყველა მეტოქე წმინდად დაამარცხა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. მეორე ადგილი დაიკავა გორელმა მამუკა მაზმიშვილმა (78). თბილისელი ოლეგ რატიანი იმავე წონაში მესამე იყო. მესამე ადგილი დაიკავა გორელმა ალექსანდრე დონღუზაშვილმაც (95).

ძიუდოისტებმა გროდნოში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაშიც მიიღეს მონაწილეობა, სადაც შვიდიდან სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. გარდა ამისა, საპრიზო ადგილზე გავიდა საქართველოს კიდევ სამი წარმომადგენელი. მძიმე წონაში გამართულ ფინალურ შეჯიბრებაშიც ქართველი ფალავნები შეხვდნენ ერთმანეთს: ქარელელი ზაზა დაბრუნდაშვილი — ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი. მცირე უპირატესობით დაბრუნდაშვილმა გაიმარჯვა.

გაიმარჯვეს ლენტეხელმა გერასიმე ხაბულიანმა (62 კგ) და თბილისელმა გიორგი ადიბეგოვმა (57 კგ).

მესამე ადგილები დაიკავეს გიორგი ჩოქურმა (75 კგ) და სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ (83).

ამ შეჯიბრებაზე არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში საქართველოს წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტებს საიმედო ცვლა ეზრდებათ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის 26-ე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს ჩვენმა ფალავნებმა ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ) და ლერი ხაბელოვმა (100 კგ), ზურაბმა, თუმცა იგი უკვე თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოქროს მედალოსანია, შეიძლება ითქვას, სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. მან ფინალში თვით შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონ კიმ ენგ სიკს (კსდრ) სძლია. არადა, როცა მსოფლიო ჩემპიონმა საბჭოთა ნაკრების ლიდერები ვლადიმერ ტოგუზოვი და მინატულა დაიბოვი დაამარცხა, არავის ეგონა მისი მძლევი თუ გამოჩნდებოდა.

ლერი ხაბელოვი თბილისის საერთაშორისო ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ მესამედ ავიდა. მან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ვფიქრობთ, ამ წარმატებით ხაბელოვმა სერიოზული განაცხადი გააკეთა.

კვლავ ჭიდაობის შესახებ. კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა პირველი საერთაშორისო ტურნირი ლოვეცში გამართეს. შეჯიბრებაში ევროპის ქვეყნების უძლიერესი ფალავნები გამოდიოდნენ. თბილისელმა ზაურ ივანაშვილმა 90 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა.

წლევანდელი სეზონი წყალში მხტომელებისთვის ძალზე დაძაბულია: სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა, ევროპის თასი, მსოფლიო თასი, ევროპის ჩემპიონატი... ამ შეჯიბრებებზე საგზურის მოპოვება თავისთავად ძნელია. საამისოდ სპორტსმენმა მრავალი გამოცდა უნდა ჩააბაროს. როგორც ჩანს, მძიმე სპორტულ სეზონს მზადყოფნაში ხვდება თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე. ახალი სეზონის სტარტზე მან ორი ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება იზეიმა — ჯერ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ საკავშირო პირველობაზე დაიკავა მეორე ადგილი, მერე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა.

ჩოგოვაძემ ამ წარმატებებს კოშკიდან ხტომაში მიაღწია.

სპორტული სეზონი ასევე კარგად დაიწყეს თბილისელმა მძლეოსნებმა მაია აზარაშვილმა და ბესიკ გოცირიძემ. ზამთრის ჩემპიონატში, რომელსაც პერმმა უმასპინძლა, 200 მეტრზე რბენაში აზარაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, გოცირიძე კი იმავე დისტანციაზე მესამე იყო.

ამ შეჯიბრებას მოსკოვში გამართული საკავშირო თასის გათამაშება მოჰყვა. აქ აზარაშვილმა და გოცირიძემ 200 მეტრზე რბენაში მესამე ადგილები დაიკავეს.

საკავშირო ჩემპიონატში წარმატებები მოიპოვეს თბილისელმა მოკრივეებმაც. სამი მათგანი კაუნასიდან პრიზიორებად დაგვიბრუნდა: ხვიჩა ხდრიანმა (54 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო რუდიკ და ალბერტ კაზანჯიანებმა (შესაბამისად 48 და 54 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს.

ბოლო წლებში სპრინტერ ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვებისთვის აქტიურად და წარმატებით იბრძვის თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი. ამჯერად მოსკოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ოთარმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ბატუტზე ხტომაში საკავშირო თასისთვის მებრძოლნი მოგილიოვში შეიკრიბნენ საასპარეზოდ. გაგვახარა თბილისელმა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც სინქრონულ ხტომაში კრასნოდარელ ირინა სლონოვასთან ერთად ყველას აჯობა, ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა.

ბოლოს, თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა შესახებ. ჩვენმა გუნდმა წლევანდელი ჩემპიონატი კარგად დაიწყო — მოსკოვში პირველი ტურის ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგო. განსაკუთრებით გაგვახარა ჩვენი ქვეყნის თექვსმეტგზის ჩემპიონთან და მრავალგზის პრიზიორთან, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალურ სპორტულ კლუბთან გამარჯვებამ, რადგან ამ გუნდთან ჩვენს წყალბურთელებს მოსკოვში 1962 წლის შემდეგ წარმატებით არ უთამაშიათ.

ჩვენი დინამოელები მხოლოდ ერთ შეხვედრაში, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან და პრიზიორთან, მოსკოვის „უნივერსიტეტთან" დამარცხდნენ და ისიც თანაბარ ბრძოლაში.

ქართველი წყალბურთელები ახლა „უნივერსიტეტისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდების შემდეგ მესამე ადგილზე არიან, თანაც სარისხობრივადაც კარგ თამაშს აჩვენებენ.

იმედია, ჩვენი დინამოელები მონაპოვარს განიმტკიცებენ, მაგრამ ამისთვის შინ მეორე ტურის მატჩებში მეტი თავგამოდებით უნდა იბრძოლონ.




კიდევ ორი დღე და სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა 50-ე, საიუბილეო ჩემპიონატი. 9 მარტს ლანჩხუთსა და ჩვენი ქვეყნის კიდევ რამდენიმე ქალაქში გაიმართება პირველი ტურის პირველი შეხვედრები.

ახლა, ამ გადამწყვეტ მომენტში, არ გვეგულება ქართველი გულშემატკივარი, რომელსაც არ აღელვებდეს ერთი შეკითხვა: რა მდგომარეობაა ლანჩხუთში, გაიმართება თუ არა აქ პირველი მატჩი, მეტიც — რომელ საათზე დაიწყება შეხვედრა?..

აღმოსავლური ანდაზა ამბობს, ისტორიის ათასვერსიანი გზაც კი პირველი ნაბიჯით იწყებაო. ეს პირველი ნაბიჯი ლანჩხუთის „გურიისა" და მისი გულშემატკივრებისთვის 1987 წლის 9 მარტის 19 საათი იქნება, როცა აქ პირველი მატჩი გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

დიახ, 9 მარტს ლანჩხუთში დიდი ფეხბურთი შემობრძანდება... ხშირად გაგვიგონია შეკითხვა თეატრისა თუ სპორტული ბაზის შესასვლელთან — ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო? დღეს ეს შეკითხვა ისმის არა მარტო ლანჩხუთში, არამედ მეზობელ რაიონებშიც, მთელ დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ზედმეტი ბილეთი არავისა აქვს.

დიახ, უკვე გაიყიდა 15 ათასი აბონემენტი, ყველა ბილეთი, დაბეჭდილია მატჩის პროგრამა, მზადდება ცნობარი. ერთი სიტყვით, ლანჩხუთი მზადაა დიდ ფეხბურთთან პირველი და დაუვიწყარი პაემანისათვის.

მთავარი სათქმელი ბოლოსთვის შემოვინახეთ: ყველა ობიექტი, რომელთა შესახებაც ჩვენს ტრადიციულ შაბათის რეპორტაჟებში გვქონდა საუბარი, დამთავრებულია.

სტადიონზე ახლა მხოლოდ დროდადრო თუ გამოჩნდებიან მშენებლები, რომლებიც კიდევ ერთხელ ამოწმებენ თავიანთ ნახელავს, მშენებლებს ახლა გულშემატკივრები სცვლიან. მართალია, მწვანე გაზონი ჯერ ცელოფანის ტყვეობაშია (რას იზამ, ისევ წვიმს და მინდორს უფრთხილდებიან), მაგრამ მაინც ცხადად გრძნობ, რომ დიდი ფეხბურთი კარზეა მომდგარი.

ახალ სასტუმროში უკვე ცხოვრობენ პირველი სტუმრები. ყველაზე ადრე აქ ტელევიზიის მუშაკებმა დაიდეს ბინა. ეს გასაგებიცაა, მათ ხომ პირველი პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟი უნდა მოაწყონ ლანჩხუთიდან.

რაც შეეხება გრიგოლეთის ბაზას, აქ უკვე ცხოვრობენ და ვარჯიშობენ „გურიის" ფეხბურთელები. როგორც გვითხრეს, მათ მშენებლების მიმართ არავითარი პრეტენზიები არა აქვთ. პირიქით, სპორტსმენებს დასვენებისა და ვარჯიშის საუკეთესო პირობები შეუქმნეს.

ამ დღეებში ლანჩხუთში იყვნენ მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მუშაკები. ერთი მათგანი — ვ. პარამონოვი — ჯერ კიდევ ნოემბერში ეწვია აქაურობას. მაშინ ბევრი ეჭვი გამოითქვა და ალბათ არავინ ელოდა, რომ აქ პირველი მატჩის გამართვა მოხერხდებოდა. ახლა, 2 მარტს, ფეხბურთის ეს ცნობილი სპეციალისტი კიდევ ერთხელ ეწვია სტადიონს. თავიდან მან მასპინძლებს არ დაუჯერა; ეჭვიც კი შეეპარა, სხვა სტადიონზე ხომ არა ვარო, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ეს ტრადიციული გურული ხუმრობა არ იყო, მხოლოდ ორად ორი სიტყვა თქვა: „დაუჯერებელია, ყოჩაღ!"

გუშინ პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივნის ემზარ ბერიძის სახელზე მოვიდა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს საკავშირო სპორტსაკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვიაჩესლავ კოლოსკოვი. აი, რა წერია დეპეშაში: „გილოცავთ ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას, სტადიონისა და სხვა სპორტული ობიექტების დამთავრებას და ნებას გრთავთ უმასპინძლოთ პირველ მატჩში ქვეყნის ჩემპიონს, კიევის „დინამოს". შეგვატყობინეთ მატჩის დაწყების დრო..."

ეს თითქმის დაუჯერებელი გამარჯვება (სხვანაირად ვერ უწოდებ ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოების დამთავრებას) განაპირობა აქ დასაქმებული ყველა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციის, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენელთა მართლაც რომ გმირულმა შრომამ.

ერთ-ერთ ჩვენს პირველ რეპორტაჟში ვწერდით, რომ ლანჩხუთის ახალმშენებლობების ოპერატიულად, ხარისხიანად დამთავრება რესპუბლიკას თავის ღირსების საქმედ მიაჩნია. მართლაც, თავი არავის დაუზოგავს. რესპუბლიკის ხელმძღვანელი, სამეურნეო ორგანოების, „საქაგრომშენის", სპორტსაკომის, ყველა აქ დასაქმებული სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელობის უშუალო მხარდაჭერით გაკეთდა საქმე, რომელსაც სხვა შემთხვევაში წლები დასჭირდებოდა (ასე ამბობენ მრავლისმნახველი და გამოცდილი სპეციალისტები).

დიახ, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ოცნების ტოლფასი მიზანი რეალობად იქცა.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს" სპეც. კორ.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**ფეხბურთში** ევროპის საკლუბო გუნდების თასების პირველ მეოთხედფინალურ მატჩებს 4 მარტს უამინდობა დაესწრო. კერძოდ, სტამბულში არ შედგა ჩემპიონთა თასის მატჩი ადგილობრივ „ბეშიქთაშსა" და კიევის „დინამოს" შორის. ჩეხოსლოვაკიელმა არბიტრმა დ. კრჩაკმა გადაწყვიტა, რომ მატჩის ჩატარება იმ პირობებში, როცა „ალი სამი ენის" სტადიონზე 20-სანტიმეტრიანი თოვლის საფარი იდო, შეუძლებელი იყო, ამიტომ არ ჩაატარა შეხვედრა. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ თუ ამინდი გაუმჯობესდებოდა, თამაში შედგებოდა 5 მარტს, მაგრამ ამ დღეს არ გამოიდარა და კიეველთა მატჩი კვლავ გადაიდო.

4 მარტს გადაიდო, აგრეთვე, თასების მფლობელთა თასის მატჩი შვეციის „მალმესა" და ჰოლანდიის „აიაქსს" შორის. იგი გაიმართება 14 მარტს.

საერთოდ, მეოთხედფინალის საკლუბო მატჩები ჩატარდა ძალზე ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში, კონტინენტის უმრავლეს ქვეყნებში თოვლმა დაფარა სათამაშო მინდვრები.

მინუს 9 გრადუს სიცივეში ჩატარდა **ჩემპიონთა თასის** მატჩი ბელგრადში და მიუხედავად ამისა სტადიონს 85 ათასმა მაყურებელმა მიაშურა. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" მადრიდის „რეალი" მიიღო, მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს და პირველ ტაიმში დაწინაურდნენ ანგარიშით 3:0, ბურთები გაიტანეს ჟუროვსკიმ და ჟუროვიჩმა (2). შესვენების შემდეგ ესპანელებმა გამოასწორეს მდგომარეობა, ხუანიტომ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე „რეალის" კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, იანკოვიჩმა ზუსტად დაარტყა, სამიოდე წუთის შემდეგ კი 11-მეტრიანი უკვე იუგოსლავიელთა მხარეს დაინიშნა. სანჩესმა ანგარიში 2:4-მდე შეამცირა.

მიუნხენში ადგილობრივი „ბაიერნისა" და ბელგიის „ანდერლეხტის" შეხვედრაში მართალია, საყოველთაო პროგნოზი მასპინძელთა სასარგებლოდ მეტყველებდა, მაგრამ „ბაიერნმა" ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა — 5:0.

პორტუგალიის „პორტოსა" და დანიის „ბრონდბიუს" მატჩში პორტუგალიელებმა მინიმალურ წარმატებას მიაღწიეს — 1:0.

**თასების მფლობელთა თასზე** მოსკოვის ტორპედოელები საფრანგეთის ქალაქ ბორდოში შეხვდნენ ამავე სახელწოდების ადგილობრივ კლუბს, თამაშს 35.000 მაყურებელი დაესწრო. უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მასპინძლებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა ფარჟონმა. ტორპედოელთა მცველებმა და მეკარე ხარინმა წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს და უვნებელყვეს მრავალი სახიფათო მომენტი.

ცხადია, საპასუხო მატჩში, რომელიც 18 მარტს გაიმართება თბილისში, ტორპედოელებს შესაძლებლობა აქვთ ნახევარფინალში გასასვლელ საგზურზე იფიქრონ.

მოსკოვის „ტორპედომ" ბორდოში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხარინი, პოლუკაროვი, გალაიბა, პრიგოდა, შავეიკო, შირინბეკოვი, ი. სავიჩევი (კობზევი, 61), მუშტრუევი, ნ. სავიჩევი, გრეჩნევი (შავლო; 53), აგაშკოვი. გააფრთხილეს გრეჩნევი და პრიგოდა.

**უეფა-ს თასზე** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" წარმატებით ითამაშა პორტუგალიის „გიმარაეშთან" და საგრძნობ წარმატებას მიაღწია — 3:0. გაიმარჯვა, აგრეთვე, შოტლანდიის „დანდი იუნაიტედმა", რომელმაც შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა".

## ფეხბურთი

### მეოთხედფინალი, პირველი ტური

**ჩემპიონთა თასი**

„ბეშიქთაში" (თურქეთი) — „დინამო" (კიევი). მატჩი გადატანილია.
„ბაიერნი" (გფრ) — „ანდერლეხტი" (ბელგია) 5:0.
„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 4:2.
„პორტო" (პორტუგალია) — „ბრონდბიუ" (დანია) 1:0.

**თასების თასი**

„ბორდო" (საფრანგეთი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:0.
„მალმე" (შვეცია) — „აიაქსი" (ჰოლანდია). მატჩი გადატანილია.
„სარაგოსა" (ესპანეთი) — „ვიტოშა" (ბულგარეთი) 2:0.
„ლოკომოტივი" (გდრ) — „სიონი" (შვეიცარია) 2:0.

**უეფა-ს თასი**

„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 1:0.
„ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) — „გიმარაეში" (პორტუგალია) 3:0.
„ტორინო" (იტალია) — „სვაროვსკი-ტიროლი" (ავსტრია) 0:0.
„გეტებორგი" (შვეცია) — „ინტერი". (იტალია) 0:0.

## „სპორტპროგნოზი":

**პირველი ტირაჟის შედეგები (28 თებერვალი — 4 მარტი)**

**1-2, 2-1, 3-1, 4-X, 5-2, 6-1, 7-1, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-1, 13-2.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი გუნდების წყვილთა რიგით ნომერს აღნიშნავს, მეორე კი შეხვედრის შედეგს.

როგორც ცნობილია, თურქეთის „ბეშიქთაშისა" და კიევის „დინამოს" (მეცხრე წყვილი), აგრეთვე შვეციის „მალმესა" და ჰოლანდიის „აიაქსის" (მეცამეტე წყვილი) ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დანიშნულ დღეს, 4 მარტს არ შედგა. „სპორტპროგნოზის" დებულების თანახმად ამ მატჩების შედეგები კენჭისყრით გათამაშდა.

# მოგებული მატჩები



| შედეგები: | 1:0 | 2:0 | 2:1 | 3:0 | 3:1 | 3:2 | 4:0 | 4:1 | 4:2 | 4:3 | 5:0 | 5:1 | 5:2 | 5:3 | 5:4 | 6:0 | 6:1 | 6:2 | 6:4 | 7:0 | 7:1 | 7:2 | 7:4 | 9:2 | +:— |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოგებათა რაოდენობა | 144 | 94 | 95 | 56 | 64 | 20 | 23 | 28 | 12 | 6 | 10 | 11 | 7 | 4 | 2 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 1 |

**დღეისთვის** თბილისის „დინამოს" აქტივში 597 გამარჯვებაა. ამ მაჩვენებლით თბილისელებს მხოლოდ სამი გუნდი უსწრებს: მოსკოვის „სპარტაკი" და „დინამო", კიევის „დინამო", თბილისელთა ყველა გამარჯვების აღწერა, დამეთანხმებით, ძალზე ძნელია. მოგითხრობთ ყველაზე შთამბეჭდავ, მნიშვნელოვან გამარჯვებებზე, რომლებმაც გავლენა იქონიეს გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე. მაგრამ მანამდე გაეცანით ცხრილს, სადაც ასახულია თბილისის „დინამოს" ყველა მოგების ანგარიში.

მოგებულ მატჩებში თბილისელებმა 1522 ბურთი გაიტანეს, 343 კი საკუთარ კარში გაუშვეს. თბილისში მათ მოიგეს 417 თამაში, სტუმრად — 176, ნეიტრალურ მოედანზე კი — 4. როგორც ცხრილიდან ჩანს, დინამოელთა მიერ მოგებულ მატჩებში ყველაზე ხშირია ანგარიში 1:0. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელები ამ მხრივ ორიგინალურები არ არიან. ყველაზე მეტი მატჩი ამ ანგარიშით აქვთ მოგებული. 50-ე საიუბილეო ჩემპიონატის სხვა მონაწილე გუნდებსაც („გურიის" გარდა). ეს არც არის გასაკვირი, რადგან 1:0 ყველაზე პოპულარული ანგარიშია საკავშირო ჩემპიონატების მანძილზე — ასე დამთავრდა 2162 შეხვედრა. სწორედ ამ ანგარიშით გაიმარჯვა თბილისის „დინამომ" თავისი პირველი საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში 1936 წლის შემოდგომაზე. მინიმალური ანგარიშის მიუხედავად, ეს გამარჯვება მეტად მნიშვნელოვანი იყო: მატჩი გაიმართა მოსკოვში, ადგილობრივ „სპარტაკთან", ქვეყნის მომავალ ჩემპიონთან. ეს ერთადერთი გოლი იმ მატჩში მიხეილ ბერძენიშვილმა გაიტანა. პირველი გამარჯვება თავის მინდორზე თბილისელებმა მოსკოვის მეორე გუნდთან — ცდკა-სთან იზეიმეს. ანგარიში დამაჯერებელი იყო — 4:0. სულ თბილისელებს 154 მატჩი აქვთ მოგებული დიდი ანგარიშით (სამი და მეტი ბურთის სხვაობით). ყველაზე დიდი ანგარიში (7 ბურთის სხვაობით) აღნუსხულია 1948 (მოსკოვის „ლოკომოტივი"), 1950 (სტალინგრადის „ტორპედო") და 1960 (ტალინის „კალევი") წლებში. 1948 და 1960 წლებში მატჩები ასე დამთავრდა — 9:2, 1950 წელს კი — 7:0. ყველა ეს გამარჯვება თბილისშია მოპოვებული. სტუმრად თბილისელებმა ყველაზე დიდი ანგარიშით მოუგეს 1938 წელს მოსკოვის „პიშჩევიკს" (5:0), 1945 წელს კიევის „დინამოს" (7:2) და 1961 წელს ვილნიუსის „სპარტაკს" (5:0). სამწუხაროდ, ბოლო ხანს ჩვენი დინამოელები აღარ „ანებივრებენ" გულშემატკივრებს ასეთი წარმატებებით. ბოლო სამი სეზონის მანძილზე მათ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით (5:0) — დონეცკის „შახტიორთან" თბილისში, 1985 წელს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ თბილისელთა გამარჯვება მოსკოვის „ტორპედოსთან" ტაშკენტში გამართულ დამატებით მატჩში — 4:1. რა თქმა უნდა, იმ დაძაბულ სეზონში მოპოვებული ცხრამეტივე გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ტაშკენტის მატჩმა ქართველ ფეხბურთელებს პირველად მოუტანა ჩემპიონის ტიტული. აქ შეიძლება გავიხსენოთ ამავე მეტოქეთა კიდევ ერთი, უაღრესად პრინციპული შეხვედრა თბილისში 1961 წელს. მატჩს თავისი წინაისტორია ჰქონდა: 1960 წლის გვიან შემოდგომაზე სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში თბილისელებმა წააგეს ავტოქარხნელებთან. გადამწყვეტი ბურთი დამატებითი დროის ბოლო წუთზე გაიტანეს ტორპედოელებმა. და აი, იმის დასამტკიცებლად, რომ თასის ფინალში განცდილი მარცხი არაკანონზომიერი იყო, თბილისელებმა უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს გუნდს, რომელიც მაშინ ჩემპიონის ტიტულს ფლობდა და რომლის შემადგენლობაშიც საბჭოთა ნაკრების რამდენიმე წევრი თამაშობდა. თბილისელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4.

გუნდი, რომელიც თამაშის მსვლელობის დროს სამ ბურთს აგებს და, მიუხედავად ამისა, გამარჯვებას აღწევს, ნამდვილად აღტაცებას იმსახურებს, ხოლო თუ ეს გამარჯვება მოპოვებულია მატჩში, სადაც საპრიზო ადგილის ბედი წყდება, მისი მნიშვნელობა ერთიორად იზრდება. თბილისელთა აქტივში ასეთი გამარჯვებაც არის. 1939 წლის ჩემპიონატის ფინიშზე შედგა თბილისის „დინამოსა" და ცდკა-ს შეხვედრა. ორივე გუნდი ვერცხლის მედლებისთვის იბრძოდა. ცდკა-ს ფრეც ხელს აძლევდა. პირველი ტაიმი მოსკოველებმა მოიგეს — 4:1. მატჩის შედეგი ეჭვს თითქოს აღარ იწვევდა, მაგრამ მეორე ტაიმში „დინამოს" თავდამსხმელებმა, რომლებსაც ბორის პაიჭაძე ედგათ სათავეში, შეუძლებელი შეძლეს და ბოლო წუთებზე გამოჰგლიჯეს ხელიდან გამარჯვება არმიელებს — 5:4. ამ ფენომენალური გამარჯვების შემდეგ თბილისელებმა პირველად დაიკავეს მეორე ადგილი საკავშირო ჩემპიონატში.

აღნიშვნის ღირსია კიდევ ორი შეხვედრა, რომლებიც მოსკოვში გაიმართა 1959 წელს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები თამაშის მსვლელობაში ორივე მატჩს აგებდნენ (1:3 „სპარტაკთან" და 0:1 „დინამოსთან"), მათ შეძლეს შეხვედრები მოეგოთ შესაბამისად 5:4 და 2:1. ბრწყინვალედ ითამაშა თბილისელთა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვლადიმერ ბარქაიამ, რომელმაც ამ ორ მატჩში ხუთი ბურთი გაიტანა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო მოსკოველ თანაკლუბელებთან მოპოვებული წარმატება, რადგან ეს გახლდათ პირველი მატჩი, რომელიც თბილისელებმა ამ სახელოვან კლუბს მოუგეს მისსავე მინდორზე. ამავე თვალსაზრისით არ შეიძლება არ აღინიშნოს გასულ სეზონში თბილისელთა მიერ კიევში მოპოვებული გამარჯვება ანგარიშით 3:1. შეგახსენებთ, რომ ბოლო ასეთი გამარჯვება თბილისელებმა 1953 წელს იზეიმეს. წარმატება ისეთ ბრწყინვალე კოლექტივთან, როგორიც კიევის „დინამოა", მით უმეტეს მისსავე მოედანზე, ჩვენი ფეხბურთელების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მიგვითითებს.

ბოლოს გამოვყოფდი თბილისის „დინამოს" კიდევ ორ გამარჯვებას. ეს მატჩები აღსანიშნავია იმით, რომ დინამოელებმა — ილია დათუნაშვილმა (1966 წელს „არარატთან" — 5:0) და გოჩა გავაშელმა (1968 წელს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" — 7:2) მეტოქეთა კარში 5-5 ბურთი გაიტანეს.

**აქსელ ვართანიანი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 45.

# ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი

**ბაქოსა** და სუმგაითში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის გუნდები მონაწილეობენ.

შეჯიბრებაში გამოდის საქართველოს ნაკრებიც. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნგრეთის გუნდთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მარცხი განიცადეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:1.

შემდგომი შეხვედრა საქართველოს გუნდმა წააგო სსრ კავშირის პირველ ნაკრებთან — 0:1.

ეს ტურნირი წინა წლებში ტრადიციულად ტაშკენტში ტარდებოდა, წლეულს კი იმართება აზერბაიჯანში, 1988 წელს ამ საერთაშორისო შეჯიბრების მოწყობა, განზრახულია თბილისში.

# კიეველები ითამაშებენ 14 მარტს

**გუშინ** ტელეტაიპით მივიღეთ ცნობა ჩემპიონთა თასზე სტამბულის „ბეშიქთაშისა" და კიევის „დინამოს" მატჩის შესახებ. უამინდობის გამო ამ ორი გუნდის შეხვედრა არ შედგა 6 მარტსაც. კიევის „დინამო" სტამბულის „ბეშიქთაშს" მეტოქის მინდორზე შეხვდება 14 მარტს.

**საქართველოს პირველობა**

ჩვენი გაზეთის 5 მარტის ნომერში აღნიშნული იყო, რომ გაგრის „დინამოსა" და ქუთაისის „იმერეთის" ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის შეხვედრაში ყვითელი ბარათი დაიმსახურეს გაგრელმა გ. შონიამ და წულუკიძელმა ზ. წულაიამ. ვასწორებთ: ზ. წულაია არის არა წულუკიძელი, არამედ ქუთაისის „იმერეთის" ფეხბურთელი.



## „საფეხბურთო კეთილშობილების" გაკვეთილები

250 ათას ნორჩ ინგლისელ ფეხბურთელს შესაბამის სკოლებში საგანგებოდ უნდა შეასწავლონ კორექტული თამაში და წესიერი მოქცევა მინდორზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ, რომელიც შეუდგა „ვარსკვლავების სკოლის" 1000 საწვრთნელი ცენტრის შექმნას.

ამ ცენტრების პროგრამა მეტად მრავალფეროვანია, ნორჩ ფეხბურთელებს ტექნიკასა და ტაქტიკასთან ერთად შეასწავლიან ჯენტლმენური თამაშის წესებსაც. ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩარლზ ჰიუზმა განაცხადა, რომ უამისოდ ინგლისური ფეხბური წინ ვერ წაიწევს, მაღალი დისციპლინა და რაინდული საქციელი ჭეშმარიტი ოსტატობის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. ფეხბურთი ინგლისელთა ყველაზე პოპულარული, უსაყვარლესი თამაშია და თუ სპორტსმენი მინდორზე უდიერად იქცევა, რაღა უნდა მოეთხოვოს ტრიბუნაზე მჯდარ გულშემატკივარს!

პირველი ასეთი ცენტრი გახსნა „ასტონ ვილას" კლუბმა, იქ სიტყვით გამოვიდა ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე ბერტ მილჩიპი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ინგლისური ფეხბურთის ეს სიახლე ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატივაა სტადიონებზე ხულიგნობის საწინააღმდეგოდ. ბ. მილჩიპმა საგანგებოდ წაიკითხა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის წერილი, რომელიც მხარს უჭერს ამ ღონისძიებას.

განცხადებით გამოვიდა ინგლისის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ბობი რობსონიც. „ასტონ ვილას" საფეხბურთო ცენტრის გახსნის ცერემონიალზე მან განაცხადა, რომ საასპარეზო სულისკვეთება და გამარჯვებისადმი სწრაფვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოგების მოსაპოვებლად მიმართო სიცრუეს, უხეშობას, მოსყიდვას. მწვრთნელები ვალდებული არიან მოემსახურონ ბავშვთა ნამდვილ მოქალაქეებად აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

როგორ წარიმართება „საფეხბურთო კეთილშობილების" გაკვეთილები? ნორჩთა ახალი საფეხბურთო ცენტრის გახსნის შემდეგ გამართულ საჩვენებელ მეცადინეობაზე 8 წლის ბიჭუნებს ასწავლიდნენ არ ეპასუხათ მეტოქის უხეშობაზე, არ ედავათ არბიტრებთან, დაუშვებელ ფორმებში არ გამოეხატათ ზედმეტი ემოციები გატანილი გოლის შემდეგ, ღირსეულად შეეფასებინათ მეტოქეთა ოსტატობა. როგორც აღნიშნავენ, ბავშვები დიდი მონდომებით ასრულებდნენ მასწავლებელთა მითითებებს, ცდილობდნენ ღირსეულად დაეჭირათ თავი მინდორზე.

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

# მეხუთე პარტია

**პრეტენდენტთა** ამ მატჩში უკვე მესამედ გათამაშდა კარო-კანის დაცვა. უფრო მეტიც, შავების მეშვიდე სვლამდე მეტოქეებმა მესამე პარტიის დებიუტი გაიმეორეს. მხოლოდ ამის შემდეგ აირჩია მსოფლიოს ექსჩემპიონმა ახალი გაგრძელება, რომლის წინააღმდეგაც სოკოლოვი, როგორც ჩანს, არ იყო მზად. ყოველ შემთხვევაში, თავის მერვე სვლაზე სოკოლოვმა დაახლოებით 20 წუთი იფიქრა. სულ მალე კი — მე-12 სვლისთვის, ექსპერტების აზრით, დაფაზე საყაიმო პოზიცია იყო. საბოლოოდ ასეც მოხდა: ორმხრივ მანევრული ბრძოლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.

გთავაზობთ მეხუთე პარტიის ჩანაწერს.

ა. სოკოლოვი — ა. კარპოვი

კარო-კანის დაცვა.

1. e4 c6 2. d4 d5 3. მd2 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. მe5 მd7 8. კe3 მ:e5 9. de კf5 10. ლ:d8+ ე:d8 11. კ:a7 კ:c2 12. კb6 ეa8 13. კc4 e6 14. f3 ეa4 15. b3 კb4+ 16. მფe2 ეa3 17. კd4 0-0 18. კb2 ეaa8 19. a3 კe7 20. ეhc1 კg6 21. ეd1 ეfb8 22. b4 მფf8 23. კb3 მფe8 24. ეd4 b5 25. ეdd1 ეc8 26. ეdc1 c5 27. bc ე:c5 28. ე:c5 კ:c5 29. a4 ba 30. კ:a4+ მფf8 31. კc3 h5 32. კc6 ე:a1 33. კ:a1 კg1 34. h3 კh2 35. მფe3 კc2 36. f4 კg1+ 37. მფe2 კb3 38. კc3. ყაიმი.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

# დიდოსტატები გზას უთმობენ ოსტატებს

**ამდენი** ოსტატი, რამდენიც საქართველოს მოჭადრაკე ქალთა წლევანდელ ჩემპიონატში ჩაება, რესპუბლიკურ პირველობას არ ახსოვს. ექვსი ოსტატი და ორი საერთაშორისო ოსტატი! რაც შეეხება ჩვენს ცნობილ დიდოსტატებს, მათ ადრევე დაიბევეს ადგილები საკავშირო ჩემპიონატის ფინალში და ახლა ასპარეზი რანგით დაბლა მდგარ კოლეგებს დაუთმეს. რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილეებიდან სსრ კავშირის ჩემპიონატში ოთხი საუკეთესო მოჭადრაკე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად (11 ქულა) ცხრა ოსტატობის კანდიდატი იბრძვის. წილისყრამ მონაწილენი ასე განალაგა: 1. ქეთევან მელაშვილი, 2. ლია სადუნიშვილი, 3. ლელა თანდაშვილი, 4. ნინო მელაშვილი, 5. ციური კობაიძე (ყველა — თბილისი), 6. მაია ხუციშვილი (გარდაბანი), 7. ციალა ქასოშვილი (გორი), 8. მარინე გაგნიაშვილი (თბილისი), 9. ქეთევან კახიანი (გარდაბანი), 10. სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), 11. ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი), 12. თამარ მახარაძე (თბილისი), 13. სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი), 14. თამარ ხუგაშვილი (თბილისი), 15. თეა ლანჩავა (ქუთაისი), 16. გიული ალიხანაშვილი, 17. ალა ჩაიკოვსკაია (ორივე — თბილისი).

I ტურში სადუნიშვილმა დაამარცხა ჩაიკოვსკაია, ნ. მელაშვილმა — ლანჩავა, ქასოშვილმა — მახარაძე, კახიანმა — ტერელაძე. ალიხანაშვილმა და ხუგაშვილმა მარცხი განიცადეს თანდაშვილთან და კობაიძესთან შეხვედრებში. გაგნიაშვილ-ლაგვილავასა და ხუციშვილ-ნიკოლაძის პარტიები გადაიდო.

პირველი ლიგა

# დაწინაურდა ზაზა ხოფერია

**სამტრედია** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატში გათამაშდა II და III ტურის პარტიები. გთავაზობთ მათ შედეგებს. **II ტური:** ჩაჩიბაია — სიჭინავა 0,5:0,5, მანაგაძე — ტყებუჩავა 1:0, ტაბატაძე — შალამბერიძე 0,5:0,5, ლეჟავა — ნეჩაევი 0:1, გოგოლაძე — ხოფერია 0,5:0,5; ხეცურიანი — თეიმურაზიანი 1:0. გადაიდო გოგიჩაიშვილ — ლექვეიშვილისა და ლობჟანიძე — პოპოვის შეხვედრები. **III ტური.** თეიმურაზიანი—გოგიჩაიშვილი 0,5:0,5, ხოფერია—ხეცურიანი 1:0, ნეჩაევი — გოგოლაძე 1:0, შალამბერიძე — ლეჟავა 0:1, ტყებუჩავა — ტაბატაძე 1:0, პოპოვი — მანაგაძე 0:1, სიჭინავა — ლობჟანიძე 1:0, ლექვეიშვილი — ჩაჩიბაია 0,5:0,5.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ზაზა ხოფერია — 2,5 ქულა, იური ნეჩაევი (ორივე — თბილისი), დავით ჩაჩიბაია (ცხაკაია) და ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) — 2-2.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# ნაკლიც გამოჩნდა

ამას წინათ საჭადრაკო კლუბმა „მაიამ" ქალაქის პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, მონაწილეობდნენ მაღალი თანრიგის მქონე სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეები. მწვრთნელების გვერდით მათი მოსწავლეებიც თამაშობდნენ, ამიტომ აღმზრდელებს „ორ ფრონტზე" უწევდათ ბრძოლა.

ვაჟთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა საქართველოს ორგზის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ნუკრი მანაგაძემ, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო 13 ტური და 10,5 ქულა მოაგროვა. 8-5-8,5 ქულა ჰქონდათ მოაგროვა. 8,5-8,5 ქულა ჰქონდათ მეექვსეკლასელ თენგიზ მასხარაშვილს და საჭადრაკო კლუბ „მაიას" მწვრთნელს ბესიკ ხეცურიანს. კოეფიციენტით II ადგილი მასხარაშვილს მიეკუთვნა.

ვაჟებთან მოპაექრე გოგონებიდან ყველაზე კარგად ითამაშა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატმა ჰენრიეტა ლაგვილავამ, რომელიც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა პრიზიორებს და საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის თავი ისახელა მე-15 საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ თეა ლანჩავამ. მან ცხრავე პარტია მოიგო და ქულათა მაქსიმუმით დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ნინო ხარლამიდი (მე-10 საშუალო სკოლა). ბრძოლა გამწვავდა III ადგილისთვის, რომელიც საბოლოოდ, 5,5 ქულით ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა, ოსტატობის კანდიდატმა ირმა ბეჟაშვილმა დაიკავა.

სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო მე-2 საშუალო სკოლის პირველკლასელმა მოსწავლემ სოფიკო ტყეშელაშვილმა. ნორჩმა მოჭადრაკემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უფროს კოლეგებს და საბოლოოდ 4,5 ქულა მოაგროვა.

ქალაქის პირველობამ დაგვანახა, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ გამოსასწორებელი: აკლიათ ტექნიკური მომზადება, ეს განსაკუთრებით ენდშპილში თამაშისას იგრძნობა, უჭირთ უპირატესობის რეალიზაცია. იმედი გვაქვს, ახალგაზრდები ენერგიული და მონდომებული ვარჯიშით ამ ნაკლს დაძლევენ, თორემ მაღალი შედეგების მიღწევა გაუჭირდებათ.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს" საკ. კორ.).
ქუთაისი.



# მძლეოსნებო, სტარტზე!

**10 მარტიდან თბილისის „დინამოს" სტადიონზე უმაღლესი ლიგის გუნდების საფეხბურთო მატჩების დღეებში ჩატარდება მძლეოსანთა ტურნირი საქართველოს ტელევიზიის თასზე.**
**ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ქ. თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებისა და ქალაქების 1970-73 წლებში დაბადებული სპორტსმენები.**
**პირველ დღეს თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩის დაწყების წინ ორი საათით ადრე და შესვენების დროს სარბიელზე გამოვლენ ქ. თბილისის საქარხნო რაიონის, გარდაბნის, გაგრის, ქობულეთის, წყალტუბოს, ხაშურის, მცხეთისა და წითელწყაროს რაიონების წარმომადგენლები.**

## მკითხველი — გაზეთი

**გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: განსხვავდება თუ არა ზომით მოედნები პროფესიულ და სამოყვარულო კალათბურთში? რა სიმაღლეზეა დამაგრებული ფარი პროფესიონალთა თამაშისას? სად თამაშობს ახლა ჯაბარი?**

**ლაშა ჩხატარაშვილი,**
მახარაძის რაიონი,
სოფელი შრომა.

პროფესიულ კალათბურთში მოედანი სტანდარტულია. 1984 წლის რეფორმის შემდეგ მისი სიგრძეა 28 მეტრი, სიგანე — 15 მეტრი, ფარი დამაგრებულია 3 მ და 5 სმ-ის სიმაღლეზე.

ქერიმ აბდულ ჯაბარიმ თავისი ხანგრძლივი სპორტული ცხოვრების დიდი პერიოდი, როგორც იცით, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" გაატარა. ამ გუნდის შემადგენლობაში იგი სამჯერ (1980, 1982, 1985 წლებში) გახდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი. პირველად ასეთ წარმატებას „მილუოკ ბაქსის" შემადგენლობაში მიაღწია, იმ კლუბში, რომელთანაც პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი. 1985 წელს უცხოეთის გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ჯაბარი სტოვებდა სარბიელს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი სარფიანი კონტრაქტით მოხიბლულმა სპორტსმენმა გადაწყვეტილება შეცვალა და კვლავ თავის კლუბში დარჩა.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები პირველ მარტს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მეცხრე ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 991 304 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ბარათი) მოგება 3763 მანეთია, ოთხისთვის (1745) — 51, სამისთვის (35164) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 9 379 581 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (7950) — 117, სამისთვის (231165) — 7.

IX ტირაჟების მოგებული თანხის განაღდება მოხდება 16 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 7 მარტი.** დილის დაჭურვა — **8.00 (2);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (გადაცემა აშშ-დან) — **11.30 (1);** სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა; 2. სსრ კავშირის ჩემპიონატი ციგურაობაში; 3. სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები (დასკვნითი გადაცემა) — **19.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 7 მარტი.** სპორტის დღესასწაული — **11.40.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 7 მარტი. „დინამოს" ბაზა დიღომში. „იმედი"-„დინამო-2" — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 14 ს. 8 მარტი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი)— „ამირანი" (ოჩამჩირე). 16 ს.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს რედაქციის განყოფილების გამგეს ელგუჯა ბერიშვილს დედის

**მარიამ პართენის ასულ ვახანია-ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ორჯერ მოგებული მატჩი

დასასრული

ბმა, როგორც ხდება ხოლმე, მოადუნეს სიფხიზლე, ყურადღება, სტუმრებს თამაშში გარდატეხის საშუალება მისცეს და რამდენსამე წუთში სურათი მკვეთრად შეიცვალა: მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა.

31-ე წუთზე ერთობ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა: ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე (70:66) შემცირდა. დააკვირდით ამ 9 წუთის სტენოგრამას: ვეფ-მა 29 ქულა მოაგროვა, „დინამომ" კი მხოლოდ 13. და აი, ერთხელ მოგებული ბრძოლის ხელახლა მოგება გახდა საჭირო. სწორედ ამ დროს თბილისელებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ყოვლად უსაფრთხო სიტუაციაში ოპოშნიანი ცუდად დაეცა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

მოედანზე გამოვიდა ბოროდაჩოვი, რომელიც რა დასამალია და, ხანგრძლივი დასვენების შემდეგ ჩვეულ ფორმაში ჯერ არ ჩამდგარა. მაგრამ სწორედ მისი გამოსვლა ყოფილა ყველაზე საჭირო იმ მომენტში. ბოროდაჩოვმა 16 ქულა შესძინა თავის კოლექტივს და გუნდის საბოლოო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ამ ეტაპზე, როცა ყოველი ქულა, ყოველი გამარჯვება თბილისის „დინამოს" სანუკვარ მიზანთან აახლოებს, ყურადღების უმნიშვნელო მოდუნებაც კი შესაძლოა საბედისწერო გამოდგეს. ამაში 4 მარტის მატჩმაც დაგვარწმუნა.

**ნოდარ ბუგუშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 33 | 27 | 6 | 3130-2623 | 60 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 33 | 22 | 11 | 2924-2769 | 55 |
| „დინამო" (თბილისი) | 34 | 20 | 14 | 2638-2776 | 54 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 32 | 19 | 13 | 2645-2596 | 51 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 33 | 16 | 17 | 2630-2685 | 49 |
| ვეფ (რიგა) | 33 | 13 | 20 | 2879-2997 | 46 |

„ლელოს" პრიზზე

# ვიდრე საკავშირო პირველობა დაიწყება

**სულ მალე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზის სარბიელი 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკ კალათბურთელებს დაეთმობა. აქ საკავშირო პირველობის ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულები 25-დან 29 მარტამდე ფინალურ ტურნირში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის იბრძოლებენ.**

ამ დასკვნით ორთაბრძოლებს იქვე, ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში, წინ უსწრებს მათი თანატოლების ტურნირს ჩვენი გაზეთის პრიზზე, რომელიც წელს მეოთხედ თამაშდება. მომავალი ტურნირის მონაწილე ყაზახეთისა და ლიტვის გუნდებთან, თბილისის „დინამო-1"-თან (მწვრთნელი ჯ. ხუხაშვილი) ერთად „ლელოს" ჯილდოსათვის იბრძვიან, აგრეთვე, ბელორუსიის კალათბურთელები, ადგილობრივი „ლოკომოტივი" (მწვრთნელი რ. ჩალაბოვი) და „დინამო-2" (მწვრთნელი—სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი).

გუშინწინ ლიტველმა ჭაბუკებმა დაამარცხეს ბელორუსიელი თანატოლები — 80:66 (35:27), დინამოელთა მატჩი პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 102:65 (50:25), ხოლო ალმაათელებმა დიდი ანგარიშით — 117:38 (67:16) სძლიეს ლოკომოტიველებს. აღსანიშნავია, რომ ყაზახ სპორტსმენთა წარმატების დიდი წილი ჭაბუკ გიგანტზე — 15 წლის დენის პეტინიოვზე მოდის, რომლის სიმაღლე 210 სმ-ს აღწევს.

გუშინდელი შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დინამო-2" — ყაზახეთი 49:109 (27:49); „ლოკომოტივი" — ლიტვა 35:92 (12:51), „დინამო-1"—ბელორუსია 103:93 (42:39).

ასპარეზობა გრძელდება.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06807